სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 თებერვალი 2024

N 94/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ მეღორეობის ფერმის, ცხოველთა სასაკლაოს და ცხოველური ნარჩენების ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ მეღორეობის ფერმის, ცხოველთა სასაკლაოს და ცხოველური ნარჩენების ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცეს, სკოპინგის დასკვნა N14;
2. შპს „აშენდი აგრო საქართველო“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N14 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო